საქართველოს კანონი

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 86) მე-14 მუხლის 5^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5^1. რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატად რეგისტრირებულმა პირმა ამ მუხლის 5^2 პუნქტით დადგენილ ვადაში უნდა შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ეს დეკლარაცია საჯაროა და დაუყოვნებლივ ქვეყნდება იმავე პუნქტით გათვალისწინებულ ვებგვერდზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

13 ივნისი 2023 წ.

N3132-XIმს-Xმპ